18/11/2026

MES 4 26 0001684787

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი
სამუშაო შეხვედრა
შეხვედრის ოქმი №10

ქ. თბილისი
12.11.2026

2026 წლის 12 ნოემბერს გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საკოორდინაციო საბჭოს რიგით მე-10 სამუშაო შეხვედრა, Zoom პლატფორმის გამოყენებით, რომელსაც საკოორდინაციო საბჭოს წევრები (დანართი №1) და ცენტრის თანამშრომლები დაესწრნენ.
შეხვედრა გახსნა ცენტრის დირექტორმა, ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც საბჭოს წარუდგინა ახლადშერჩეული ორი წევრი - მანუელ ფაუნდეს ბარანდა - ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსის“ პროფესიული განათლების მასწავლებელი და მარიამ ქებურია - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინიტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. ლაშა მარგიშვილმა მიულოცა მანუელ ფაუნდეს ბარანდას, რომელიც ესწრებოდა სხდომას, ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებად შერჩევა. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, სალომე ვორონოვმა და ცენტრის დირექტორის მოადგილე, ქეთევან კობახიძემ ასევე მიულოცეს საბჭოს ახალ წევრს და წარმატებები უსურვეს.
დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა წარადგინა პირველი საკითხი, რომელიც ეხებოდა მიმდინარე წლის 11 ივნისს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში პარლამენტის მიერ მიღებულ ცვლილებებს, რომლის შესაბამისად ცვლილებების უნდს განხორციელდეს ცენტრის შესაბამის სამართლებრივ აქტებში. აღნიშნულ ცვლილებაბამდე, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მონიტორინგის დროს, ავტორიზაციის და აკრედიტაციის საბჭოებს ჰქონდათ უფლება დამატებითი ვადა მიეცათ ხარვეზის გამოსასწორებლად და ეს ვადა არ უნდა ყოფილიყო 60 დღეზე მეტი. კანონში შესული ცვლილების მიხედვით, საბჭოებს შეუძლიათ ხარვეზის შესაბამისად, ხარვეზის გამოსასწორებლად, დაწესებულებას განუსაზღვროს 60 დღეზე მეტი ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს. იმ შემთხვევაში, თუ ხარვეზი დროში ვერ გამოსწორდება, საბჭოს შეუძლია პირდაპირ მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის ან აკრედიტაციის გაუქმების შესახებ.
მეორე საკითხი ეხებოდა საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის განხოციელებას. მიმდინარე წლის 9 ივნისს ცვლილება განხორციელდა ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ იმ იურიდიულ პირს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა ავტორიზაცია ზოგადი განათლების იმ საფეხურზე, რომელზედაც ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. ამ იურიდიული პირისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით შეიძლება ავტორიზაციის განსხვავებული პირობები განისაზღვროს.
აღნიშნულის შესაბამისად, შესაბამის კანონქვემდებარე აქტში - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებასა და საფასურში"

დაინიცირდა ცვლილებები, კერძოდ, ,,დებულების“ მე-5 მუხლში, რომელიც ეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს, დაემატება პუნქტი, რომელიც დააზუსტებს, რომ საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას არ შემოწმდება მე-2 სტანდარტი - ,,სასკოლო კურიკულუმი“. აღნიშნული პროგრამების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები შეფასდებიან დანარჩენი სამი ინსტიტუციური სტანდარტების ფარგლებში. აღნიშნული პროგრამები წარმოადგენს უკვე აღიარებულ პროგრამებს შესაბამისი უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ინსტიტუტის მიერ, თუმცა საერთაშორისო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. აღნიშნული ცვლილება აძლევს ცენტრს უფლებას, დანარჩენი სამი სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში, მონიტორინგით შევიდეს აღნიშნულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.
საკოორდინაციო საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დააზუსტა, თუ როდის შევიდა ცვლილებები ძალაში, რაზეც ლაშა მარგიშვილი აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილებები ამოქმედებულია მიმდინარე წლის ივნისის თვიდან.
საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დაგეგმილი ცვლილებები და საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0
ცენტრის დირექტორმა მადლობა გადაუხადა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს თანამშრომლობისთვის და სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

დანართი 1: საკოორდინაციო საბჭოზე დამსწრეთა შემადგენლობა

სახელი, გვარი	პოზიცია	საკოორდინაციო საბჭო
სალომე ვორონოვი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების,აკადემიური განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი	საბჭოს წევრი, საბჭოს თავმჯდომარე
თათია უბერი	ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასისტენტ-პროფესორი, დოქტორანტი	საბჭოს წევრი, საბჭოს მდივანი
ნინო ჭალაგანიძე	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვიცე კანცლერი, მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი	საბჭოს წევრი
დეივიდ გორდონი	მანჩესტერის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ემერიტუსი პროფესორი	საბჭოს წევრი
დიანა ფრეიბერგერი	განათლების ხარისხის და ინოვაციების კონსულტანტი (ხარისხი, ციფრული ტრანსფორმაცია და მიკროკრედიტები); ბიზნესის ადმინისტრირების აკრედიტაციის საერთაშორისო ფონდის (FIBAA) ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი	საბჭოს წევრი
მაია ახვლედიანი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ი პროფესორი	საბჭოს წევრი

მორის შალიკაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი	საბჭოს წევრი
მაია რუხაძე	ქიმიის მასწავლებელი თბილისის 221-ე საჯარო სკოლა	საბჭოს წევრი
თამთა გრიგოლია	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინიტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის „ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო რესურსების განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა“ პროგრამის „ეროვნული სასწავლო გეგმისა და სახელმწიფო სტანდარტების ბილინგვურად დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში“ ქვეპროგრამის მენეჯერი	საბჭოს წევრი
მანუელ ფაუნდეს ბარანდა	ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსის“ პროფესიული განათლების მასწავლებელი.	საბჭოს წევრი

Minutes of the Coordination Council Meeting
Working Meeting
Minutes of Meeting No. 10

Tbilisi,
12.11.2026

On 12 November 2026, the 10th regular working meeting of the Coordination Council of the LEPL – National Center for Educational Quality Enhancement (hereinafter referred to as the NCEQE) was held via the Zoom platform, attended by the members of the Coordination Council (Appendex No. 1) and the NCEQE's staff.

The meeting was opened by the Director of the NCEQE, Lasha Margishvili, who introduced two newly selected members to the Council: Manuel Faundez Baranda, Vocational Education Teacher at NNLE College "Ikarosi," and Mariam Keburia, Deputy Head of the Higher Education Department at the Ministry of Education, Science and Youth of Georgia. Lasha Margishvili congratulated Manuel Faundez Baranda, who was attending the meeting, on his selection as a member of the NCEQE's Coordination Council. The Chair of the Coordination Council, Salome Voronovi, and the Deputy Director of the NCEQE, Ketevan Kobakhidze, also congratulated the new member of the Council and wished him success.

In accordance with the agenda, Lasha Margishvili presented the first item, which concerned the amendments to the Law of Georgia on Educational Quality Enhancement adopted by Parliament on 11 June of the current year, pursuant to which amendments must be made to the relevant legal acts of the NCEQE. Prior to the aforementioned amendments, during the monitoring of a general, vocational, or higher education institution, the Authorization and Accreditation Councils had the right to grant an additional timeframe to rectify a deficiency, and this timeframe was not to exceed 60 days. Pursuant to the amendment introduced to the Law, depending on the nature of the deficiency, the Councils may grant an institution a timeframe exceeding 60 days to rectify the deficiency, which shall not exceed 1 year. If the deficiency cannot be remedied within the relevant timeframe, the Council may decide directly to revoke authorization or accreditation.

The second agenda item concerned the authorization requirements for the implementation of general education programme recognized abroad. On 9 June of the current year, an amendment was introduced to the "Law of Georgia on General Education", according to which only a legal entity that has obtained authorization in accordance with the procedure established by the legislation of Georgia at the level of general education at which it implements a general education programme recognized abroad has the right to implement such a programme in Georgia. Different conditions for authorization may be determined for such legal entity, by the Regulation on Authorization of Educational Institutions.
Accordingly, amendments were initiated to the relevant subordinate legal act, namely the "On Approval of Authorisation Fees and Authorisation Regulations for Educational Institutions," approved by Order No. 99/N of the Minister of Education and Science of Georgia of 1 October 2010; specifically, a paragraph will be added to Article 5 of the "Regulation," which concerns the authorization standards for general education institutions, clarifying that during the evaluation of a general education programme recognized abroad, Standard 2 - "School Curriculum" - shall not be assessed. General education institutions implementing the aforementioned programmes will be evaluated within the framework of the remaining three institutional standards. These programmes have already been recognized by the relevant authorized institution of a foreign country; however, an international programme still must comply with the National Goals of General Education. The amendment grants the NCEQE the right to conduct monitoring at the such general education institution in the event of a violation of any of the remaining three standards.
Coordination Council member Nino Chalaganidze inquired when the amendments entered into force, to which Lasha Margishvili noted that the aforementioned amendments have been effective since June of the current year.
The Chair of the Coordination Council put the planned amendments to a vote, and the Council unanimously supported them.

In favour: 10
Against: 0
The Director of the NCEQE expressed gratitude to the members of the Coordination Council for their cooperation and declared the meeting closed.

Appendex №1: List of Attendees of the Coordination Council Meeting

Name, surname	Position	Coordination Council
Salome Voronov	Head of the Department of Faculty Development and Strategic Planning, LEPL - Tbilisi State Medical University	Member of the Council, Chair of the Council
Tatia Uberi	Representative of the NNLE - Georgian Student Organizations Association, Assistant Professor at the Caucasus School of Law, Caucasus University LLC, PhD Candidate	Member of the Council, Secretary of the Council
Nino Chalaganidze	Vice-Chancellor of Caucasus International University LLC, Head of the Multimedia Center, Professor	Member of the Council
David Gordon	Emeritus Professor at the Faculty of Medicine, University of Manchester	Member of the Council
Diana Freiberger	Education Quality and Innovation Consultant (Quality, Digital Transformation, and Micro-credentials); Former Executive Director of the Foundation for International Business Administration Accreditation (FIBAA)	Member of the Council

Maia Akhvlediani	Professor at the Faculty of Pedagogy, LEPL - Akaki Tsereteli State University	Member of the Council
Moris Shalikashvili	Dean of the Faculty of Law, LEPL - Ivane Javakhishvili Tbilisi State University	Member of the Council
Maia Rukhadze	Chemistry Teacher, Tbilisi Public School No. 221	Member of the Council
Tamta Grigolia	Manager of the Subprogram "Bilingual Implementation of the National Curriculum and State Standards in Preschool and School Institutions of National Minorities" under the Programme "Development of the National Curriculum and Educational Resources and Support for Their Implementation" of the Department of Preschool and General Education, Ministry of Education, Science and Youth of Georgia	Member of the Council
Manuel Faundez Baranda	Vocational Education Teacher at NNLE College "Ikarosi"	Member of the Council

დანართი/Appendex №2:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარებისეროვნული ცენტრის საკოორდინაციოსაბჭოს ონლაი ნ სამუშაო შეხვედრა

Working Meeting of the Coordination Council of theLEPL - National Center for Educational Quality Enhancement

შეხვედრისბმული/Meeting Link

https://us02web.zoom.us/j/82254847119?pwd=P11R3B9YDHMISa6C7DAi78EwU2tC2j.1

Meeting ID: 822 5484 7119

Passcode: 569112

16:00-17:00 საათი, 12 ნოემბერი, 2026

16:00-17:00, November 12, 2026

დღის წესრიგი / Agenda

დრო Time	განსახილველი საკითხი Discussion topic	მომხსენებელი Presenter	პოზიცია, ორგანიზაცია Position, Organization
16:00-16:15	მისალმება Introduction	ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili ქეთევან კობახიძე Ketevan Kobakhidze	დირექტორი, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Director, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement

			დირექტორის მოადგილე, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Deputy Director, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement
16:15-16:40	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებასა და საფასურში" განსახორციელებელი ცვლილების პროექტის წარდგენა, საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ფარგლებში განხოციელებასთან დაკავშირებით. Presentation of the draft amendment to the “Regulations and Fees for Authorization of Educational Institutions”, approved by Order No. 99/N of the Minister of Education and Science of Georgia dated October 1, 2010, regarding the implementation of general education programs recognized abroad within the scope of authorization.	ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili	დირექტორი, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Director, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement
16:40-16:50	**კითხვა-პასუხი/Q&A**		
16:50-17:00	**სამუშაო შეხვედრის შეჯამება / Wrap Up**		

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
საკოორდინაციო საბჭო
მდივანი
უბერი თათია

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
საკოორდინაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ვორონოვი სალომე